

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის კუთხით საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფასთან. იგი მიმართულია უზრუნველყოს სათანადო ეფექტური და ქმედითი სამართლებრივი მექანიზმების შექმნა ოჯახში ძალადობის აღკვეთის, პრევენციისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების თვალსაზრისით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია გააუმჯობესოს ოჯახში ძალადობის აღმოფხვრისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების არსებული სამართლებრივი მექანიზმები, უზრუნველყოს დამცავი და შემაკავებელი ორდერების აღსრულებისათვის ეფექტური სისტემის ფორმირება, დააწესოს ორდერებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისათვის ადმინისტრაციულსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს“ ემატება ნორმა (მუხლი 175²), რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შემაკავებელი და დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შემაკავებელი ორდერის დარღვევის შემთხვევაში გამოიხატება მოძალადისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდებით 7 დღემდე ვადით ან გამასწორებელი სამუშაოების შეფარდებით ერთ თვემდე ვადით. ხოლო დამცავი ორდერის დარღვევის შემთხვევაში – ადმინისტრაციული პატიმრობით 30 დღემდე ვადით ან გამასწორებელი სამუშაოებით სამ თვემდე ვადით.

კანონპროექტის მიხედვით აღნიშნულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები, ხოლო საქმეს განიხილავენ რაიონული (საქალაქო) სასამართლოები. ამასთან, კანონპროექტის მიხედვით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებს ენიჭებათ აღნიშნული

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირის ადმინისტრაციული დაკავების უფლებამოსილება.

კანონპროექტის მიხედვით კოდექსის 252-ე მუხლის მე-2 ნაწილში წარმოდგენილი ცვლილებით დგინდება, რომ კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებთან ერთად კოდექსის 175² მუხლით (*მუხლი 175. დამცავი და შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა*) გათვალისწინებული შემთხვევების დროსაც საქმის განხილვისას ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის დასწრება სავალდებულოა და თუ იგი თავს არიდებს შინაგან საქმეთა ორგანოს ან ადმინისტრაციულ სასამართლოს (მოსამართლის) გამოძახებით გამოცხადებას, ასეთი პირი შეიძლება იძულებით იქნეს მიყვანილი შინაგან საქმეთა ორგანოს მიერ.

კანონპროექტის მიხედვით განისაზღვრება, რომ დამცავი და შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქმეები 24 საათის განმავლობაში განიხილება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს, იმ პირთათვის რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს, პირიქით გამომდინარეობს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და შეთანხმებებიდან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს ცალკეულმა ექსპერტებმა, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულების წარმომადგენლებმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი